№ 269
დეკემბრის 15, კვირა 1902 წ.
1877

ივერია

№ 269
დეკემბრის 15, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☞ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☜

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., კალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 25 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ჟირარდის მანუფაქტურის სააქციონერო საზოგადოების

საწყობში

ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, სათავად-აზნაურო სახლში.

მიღებულია საქონელი საზამთრო სეზონისთვის ფლანელი, ვიგონი, ბაიკისა, შოტლანდიისა, აბრეშუმისა და შალის საბნები, პლედები და შალები, წინდა-ჩულქები, პაიჭები, თბილი ფუფაიკები და პერანგის-ამხანაგები.

Crèpe de santè და ნაძვისა

კაცისა და ქალის თეთრეული. **სრული მზითევი.** ტილოსი და მიტკალისა, კლეონკები, სხვა-და-სხვა ფერის ტილოს სუფრები და ლინოლეუმი.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(17—5) დონერ—ლეიფცი.

საწყობი ქაღალდის

მოსკოვი 1882 წ. **დიტიატკოვსკის ამხანაგობის** ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество

ტელეფონი № 66. (30—5.—26)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 15 დეკემბერს, დილის 12 საათზე სათავად-აზნაურო დარბაზში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება**.

განსახილველი საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიში.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902—3 წლისა.
3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.
5) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.
6) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა.
7) მოხსენება შესახებ დასის მთელის წლით შენახვისა.
8) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური ანგარიში უკვე მზათ არის და წევრებს შეუძლიანთ მიიღონ თეატრის კანტორაში 11—2 საათამდის.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.
მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
მ. მ. მალალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.
მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ზრ. მ. ხოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მალალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 15 დეკემბერი.

ძლიერ თავმდაბალი კალმოსანი გამოდგა ბ-ნი სიტყვა, მთავარი ბურჯი „ცნობის ფურცლისა“. მან არც აცივა, არც აცხელა და თავისი თავი დაადარა სახელოვანს ინგლისის მწერალს დანიელ დეფოს. ხოლო თავისი საკუთარი „ქმნილება“, მეგობრის წერილის სახით გამოქვეყნებული, გვერდში ამოუყენა, როგორც ღირსეული ტოლი და სწორი, ამ დიდებულის ინგლისელის სატირასა. ვაშა თქვენს თავმდაბლობას, ბ-ნო ქართველო დეფო.

მაგრამ გავბედავთ და მოვახსენებთ ამ დიდებულს ქართველს დეფოს, რომ მას დაავიწყდა მცირედი რამ განსხვავება, დიაღ, მცირედი რამ. ინგლისელის დეფოს სატირამ თავზარი დასცა მდევნელთ, შეაძრწუნა, მოშხამა, დაადამბლავა; ხოლო დევნულნი აღავსო სიხარულით, მიანიჭა შვება და ლხენა. ქართულ დეფოს ნაქნარმა-კი სრულიად წინაალმდეგი ნაყოფი გამოიღო: უკუღმართნი და სულმდაბალნი გაამხნევა, გაათამამა, წააქეზა, წელში გაჰმართა შარბათი დაალევინა; ხოლო წაღმართნი შეაშფოთა, შეაძრწუნა, უკიდურესად შეურაცხჰყო მათი წმინდათა წმინდა, საწამლავი მისცა, ხელები ძირს ჩამოაშვებინა, დიდს საგონებელში ჩააგდო.

და განა შესაძლებელი იყო ეს არ მომხდარიყო? რა სთქვა ჩვენმა გადაბრუნებულმა დეფომ? სთქვა ისა, რომ თუ ქართველებს ჰსურთ განახლდნენ, პროგრესის გზას დაადგნენ და ბედნიერებას ეწიონენ, უნდა ზურგი შეაქციონ ქართულს ენას, ლიტერატურას, თეატრს, კულტურას, რომელთაც „აზის ბეჭედი აზიურის უნიჭობისა და სიმკვდარისა“, შევითვისოთ რაც შეიძლება მალე, ევროპიული ენა და მის შემწეობით ევროპიული კულტურა გადმოვნერგოთო. ეს აზრი გამოთქმულია მოკლედ, კატეგორიულად, მადიანად, სრულის თანაგრძნობით, სწორედ ისე, როგორც გამოსთქვამდა ჩვენის ერის გადაგვარების მოტრფიალე. არც ერთს სიტყვაში, არც ერთს ფრაზაში არ ისმის მცირეოდენი სატირა, იოტის ოდენა ირონია. ავტორი-კი სცდილობს დაგვაჯეროს, რომ ეს აზრი სავსებით ეწინაალმდეგება ჩემს შეხედულობასაო.

ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს. კალმოსანი ჰხმარობს მარჯვე ღონის ძიებას, რომ მკითხველს დააჯეროს ის, რასაც თვითონ უარჰყოფს, შეაყვაროს ის, რაც თვითონ სძულს, გაამხნევოს ის, ვისიც შეძრწუნება უნდა, შარბათი ასვას იმას, ვისიც მოწამლა ჰსურს, დაადამბლოს იგი, ვისიც გამხნევება სწყურიან და საწამლავი მისცეს იმას, ვისაც უნდა ასვას შარბათი.

და ამას ეძახის ბ-ნი „სიტყვა“ მაცხონებელს სატირასა. ვის ატყუებს ავტორი: თავის თავსა თუ მკითხველებსა? მისი საქციელი სავსებით ჰგავს იმას, რომ რომელმამე უკუღმართმა ყუმბარა მტრის ბანაკში-კი არ გაისროლოს, არამედ თავისიანების ბანაკის შიგ შუა გულში გაჰხეთქოს, და ესეც იმისთანა დროსა, როდესაც მტერი იერიშით მოდის ამ ბანაკისაკენ.

ტფილისი

✦ დღეს, 15 დეკემბერს, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს წარსულის წლის მოქმედების ანგარიში და ამოირჩიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი.

✦ ორშაბათს, 16 დეკემბერს, ტფილისში დანიშნულია ქალაქის თავის არჩევანი. ვინ იქნება არჩეული, ეს ჯერ არავინ იცის, რადგანაც ყველა კანდიდატს უყარეს კენჭი საცდელად რამდენსამე კერძო კრებაზედ, მაგრამ ამ კენჭის ყრის შემდეგაც ძნელია ითქვას, სასწორი ვისკენ გადიხრება. ორშაბათსავე დანიშნულია ქალაქის საბჭოს მდივნის ამორჩევა; ამ თანამდებობაზედ ასახელებენ დღევანდელ მდივანს ჰრელაშვილს.

✦ იანვრის 12 პეტერბურგში დანიშნულია რუსეთის იმპერიის ბეითალთა საზოგადო კრება; ტფილისის ქალაქის გამგეობამ კრებაზედ წარმომადგენლად დაჰნიშნა ქალაქის საყასბოს გამგე ბეითალი ბ-ნი კანცელმახერი, ამავე კრებაზედ დასასწრებლად პეტერბურგში გაემგზავრება კავკასიის საბეითალო უწყების გამგე ბ-ნი ზოლოტარიოვი; შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება-დართვით, ამავე კრებაზედ მიწვეულნი არიან საგუბერნიო ბეითლების ინსპექტორები.

✦ ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული კალენდრები. ერთი სახალხო, შედგენილი და გამოცემული მ. გაჩეჩილაძის-მიერ და მეორე —საყოველთაო კალენდარი, შედგენილი კ. თავართქილაძისაგან. პირველი დაბეჭდილია ყვირილას, ხოლო მეორე—ტფილისს. ტანით ტოლნი არიან, ხოლო ფასით ერთი ჰღირს 10 კაპ, ხოლო მეორე—20 კაპ.

✦ ამას წინად ტფილისის საბალოსნო-სამეურნეო სკოლის გამგეობამ მიჰმართა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს და სთხოვა, იშუამდგომლეთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას წინაშე, დანიშნოს ამ სკოლაში რამდენიმე სტიპენდია, რადგანაც ამ სკოლის მოსწავლეთა მომეტებულს პროცენტს ღარიბ თავად-აზნაურთა შვილები შეადგენენო და ბევრნი იძულებულნი არიან შეუძლებლობისა გამო, სკოლას თავი დაანებონო. გუშინ სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მიჰმართა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს და სთხოვა, მომავალ კრებაზედ, როცა გაანაწილებენ სათავად-აზნაურო ბანკის მოგებას, იქონიონ გულში ზემოხსენებულ სკოლაში სტიპენდიების დანიშვნის საქმეო.

✦ დღეს, 15 დეკემბერს, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წევრთა კრებაა დანიშნული. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. სხვათა შორის კრება განიხილავს მოხსენებას ამხანაგობის მაღაზიის მდგომარეობის შესახებ.

✦ დღესვე დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა კრებაა დანიშნული. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის წევრი, განიხილოს ამ წლის მეორე ნახევრის ანგარიში და სხვა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა შეუთვალა ქალაქის გამგეობას, ჩქარა წარმომიდგინე ქალაქის 1903 წ. ხარჯთ-აღრიცხვაო.

✦ ხუთშაბათს, 12 დეკემბერს, ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ განიხილა ტფილისის საკვირაო სკოლების გამგეთა თხოვნები შემწეობის შესახებ. კომისიამ გადასწყვიტა მიეცეს საკვირაო სკოლებს: ნაძალადევისას და ჩუღურეთისას თითოს 100 მანეთი, ქ. კაიდანოვის მიერ დაარსებულ სკოლას 300 მ., მესამე საკვირაო სკოლას—300 მ., ვერის საკვირაო სკოლას—100 მ.

✦ ქალაქის სკოლათა გამგე-კომისიას დაუმთავრებია ქალაქის სკოლათა შესანახ ხარჯების განხილვა და უკვე გადაუცია გამგეობისათვის ქალაქის საერთო ხარჯთ-აღრიცხვაში ჩასართავად.

✦ ქალაქის პროფესიონალურ სასწავლებლის მასწავლებელი ქალი ქ. ზნამენსკისა ავადმყოფობის გამო ოთხის თვით განთავისუფლებულ იქმნა სამსახურისაგან. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, აძლიოს მას წინანდელი ჯამაგირი და ამასთანავე შემწეობა აღმოუჩინოს 100 მანეთით. მოკლე ხანში ქალაქის გამგეობა დროებით მოიწვევს ახალ მასწავლებელს.

✦ ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფმა ბ. ივანენკომ მიართვა გამგეობას ქაღალდი, რომელშიაც განაცხადა სურვილი—კენჭი იყაროს ქალაქის თავის თანამდებობაზედ.

✦ გუშინ, 14 დეკემბერს, გასტეხეს ქალაქის საქონლის სადგომი გომური, რომელშიაც ხუთს მწყემსს ეძინა; ქურდებმა გაალეს გომურის შიგნიდგან ჩაკეტილი კარი და გამორეკეს ხუთი სული მსხვილ-ფეხი საქონელი, ღირებული 250 მანეთად.

✦ წარსულ ხუთშაბათს მოხდა ქალაქის სკოლათა კომიტეტის წევრთა კრება; კრებაზედ აღიძრა კითხვა სახელოსნო სკოლის დირექტო-

რის საქციელის შესახებ; თავმჯდომარემ განაცხადა, რამდენჯერ მოვთხოვეთ წარმოედგინა კომიტეტისათვის სახელოსნო სკოლის ანგარიში, შეეტყობინებინა, რა რიგად მიდის სწავლის საქმე ამ სასწავლებელში, რამდენჯერ მოვიწვიეთ კრებაზედ მაგრამ პასუხიც-კი არ გვაღირსაო; სხვათა შორის, სკოლას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ამ წელს თითქმის ჯერ ერთხელაც არ დაუნიშნავს სკოლის საპედაგოგიო კრებაო; ამიტომ გთხოვთ, ბ-ნი ოხანეზოვი—დირექტორი სკოლისა, დათხოვნილ იქმნას ამ თანამდებობიდგანაო; კომიტეტის წევრებმა მიიღეს თავმჯდომარის წინადადება და დაადგინეს, ეს გარდაწყვეტილება ემცნოს ბ. ოხანეზოვს და ეთხოვოს, თავისი თანამდებობა და სკოლის გამგეობა ჩააბაროს ამა სკოლის მასწავლებელს მელიქ-ლალაიანცსა. კომიტეტმა ეს დადგენილება შეატყობინა ქალაქის გამგეობას; გუშინ ქალაქის გამგეობას მოხსენდა კრებაზედ ეს დადგენილება. გამგეობამ უარჰყო მისი განხილვა, რადგანაც ქალაქის სასწავლებელთა კომიტეტი დამოუკიდებელი დაწესებულებაა და, მაშასადამე, მის საქმეებს არ შეეხება ქალაქის გამგეობაო.

◆ თ-დ გ. ამილახვარმა, რომელსაც ბრალად ედება გორის მაზრის უფროსის თანაშემწის ბ-ნ ნაბიეკოვის შეურაცხყოფა, სურამის რკინის გზის სადგურზედ, სააპელაციო საჩივარი შეიტანა ტფილისის სამოსამართლო პალატაში.

◆ თელავის მაზრაში საქონლის ჭირი გაჩენილა. ბეითლებს დაავალეს სათანადო ღონის-ძიებანი მიიღონ ჭირის მოსასპობად.

◆ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსმა აცნობა ამ დღეებში ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრეს სამმართველოს: მოხელეთა რიცხვი აქ ცოტაა და ამიტომ საჭიროა მოხელეთა რ-ცხვს მოემატოსო.

◆ ქალაქის საავადმყოფოში და მის სამს განყოფილებაში სულ 2,998 ავადმყოფი მისულა ნოემბრის განმავლობაში. ექიმებს გაუსინჯავთ 8,793 ჯერ.

◆ ოთხშაბათს, 17 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია დუშეთში მიდის, სადაც 24 დეკემბრამდე დარჩება.

◆ გუშინ წინ, 13 დეკემბერს, გუბერნატორმა მისწერა ტფილისის მოურავის მოადგილეს, რომ გამგეობამ და საბჭომ რაც შეიძლება მალე განიხილონ შუამდგომლობა კუკიის სასაფლაოს სამზრუნველო კომიტეტისა, რომელიც თხოულობს, დაგვითმეთ მიხეილის საავადმყოფოსათვის განსაკუთრებული ადგილი სასაფლაოს გასამართავადაო.

ისტორიული ცნობა

3.

«წელთა აღმწერელობა თვალხმა არ არის».

—

— ვინ შეჰქმნა ჩვენში კულტურა,—თავადმა?

— არა.

— აზნაურმა?

— არა.

— გლეხმა?

— არა.

— მღვდელმა?

— არა.

— მაშ ვინ?

— ქართველმა, ქართველის გენიოსობამ.

— რა არის კულტურა?

— კულტურა წარმოსდგება სიტყვიდამ cultiver და Culture ჰნიშნავს ხვნას, შემუშავებას (მიწისას), გაშენებას (მცენარეთა), წარმატებას (მეცნიერებასა და ხელოვნებაში), საქმეს, ხელობას, სწავლას, განვითარებას (ჭკუისას).

— ვინ დაიწყო კულტურა ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, ვინ უდგა სათავეში კულტურას?

— ყველა: მუშაკი, მხვნელი, ხელოსანი, მხედარი, მღვდელი...

ასრე იყო ყველა კულტუროსანს ხალხებში და ჩვენშიაც.

პირვანდელ უვიც და ყოვლად უსუსურ კაცმა თანდათან მოიგონა იარაღები, ისწავლა ქოხების აშენება, სატანისამოსო ნივთების კეთება, საქონლის მოშენება, მთლიანის ხეებისაგან ნავის გამოჭრა. შემდეგ ნელ-ნელა ყველა ეს გააუმჯობესა, კიდევ ბევრი რამ ახალი შესძინა თავის პირვანდელს ყოფა-ვითარებას, და კაცობრიობის დღევანდელი კულტურული შეძენილება—ელექტრონი, ფონოგრაფი, ორთქლ-მავალები, ჰაეროსტატი, ზღვის ძირში მცურავი ხომალდები აღარც-კი გვაკვირვებენ, საცაა, ცაში რკინის გზასაც გაჰმართავენ!

— ვინ შეჰქმნა ქართული ყაიდის ხელოვნება—ქანდაკება, მხატვრობა?

— ქართველმა ხურომ, ხუროთ-მოძღვარმა და მხატვარმა.

— ვინ აღაგო ცამდის აღმართული სვეტი-ცხოველი?

— მთელმა საქართველომ.

— ვინ გააშენა ტფილისი, მცხეთა, ქუთაისი?

— მთელმა ქართველმა ერმა.

— ვინ შეასწავლა და შეაყვარა უცხოეთიდგან გადმოსახლებულ თავადიშვილობას ქართული ენა, ზნე, ჩვეულება და, საზოგადოდ, ქართული კულტურა, მაგალითებრ, ინდოელ ორბელიანებს, ლეკეთიდგან მოსულ წერეთლებს, ურიასტანელ ციციშვილებს, ბერძენ მიქელაძეებს, ქურთისტანელ მხარგრძელებს, ოს-ფალავანდიშვილებს, ურია ბაგრატიონებს, ბერძენ ანდრონიკაშვილებს, აბაშელ აბაშიძებს და სხ.-და-სხ.?

— ისევ და ისევ ქართველობამ, იმ ერმა, რომელმაც შეჰქმნა თავისებური კულტურა, დაამყარა თავისუფლება ენისა, სვინიდისისა, გვარტომ-მოდგმისა, იმ ერმა, რომლის კულტურის არსება გამოიხატება, ერის გენიოსობის შენიშვნითვე, ამ სიტყვებით:

პირველ თქმულია ძველთაგან
სიდარბაისლე მესხისა,
ჰურადობა და ვაჭრობა
ქართველს არ ეზრახვისა,
ზრდილნი არიან იმერნი,
მტერთა მიმცემი რისხვისა,
ომი და ღხინი კახისა
მოსაწონია კაცისა.

აქ მთელის ერის მოწოდებასა და კულტურაზეა ლაპარაკი, მთელი ერი კულტურულ ერად დასახულია იმ განსხვავებით, რომ თემსა და თემში კულტურის რომელიმე დარგი უმეტესად ყოფილა ფესვებ გადგმული.

ვიმეორებთ, ქართული კულტურა არ შეუქმნია ერთს რომელსამე წოდებას, არ შეუქმნია გლეხს, აზნაურს, თავადს, მღვდელს, არამედ მხოლოდ ქართველს, ქართველის ჭკუას.

ეს მხოლოდ დღეს არ ესმისთ ჩვენში ზოგიერთებს, თორემ ქართველის გენიოსობას მე-XII საუკუნეშივე შეგნებული ჰქონდა და თავის ეროვნულ მისწრაფებათა სავალზე ამით ხელმძღვანელობდა:

ათასად გვარი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ არის,
ცუდია გვარიშვილობა!

— ვინ დაიცვა ესრეთი საწადიერი ანდერძი და ქართული კულტურა?

— რასაკვირელია, იმავ ქართლოსიანმა, იმავ ქართველმა ერმა, ნიჭით და ძალღონით აღსავსე ამერ-იმერმა.

— ვინ შეუწყო ხელი ამ ანდერძის და ქართულ თავისუფალ კულტურის დამხობას?

— უმთავრესად ქართველ დიდკაცობის ღუხჭირ და უკეთურ წარმომადგენლებმა. ესენი, ვითარცა მოგვითხრობს მატიანე, განუქდებოდნენ-რა, გალაღდებოდნენ, გაამაყდებოდნენ, აღარ რიდებდნენ აღარც მამულს და აღარც საკუთარს მეფეს. არ თაკილობდნენ ჯაშუშობას, ძმათა გაცემას, თანამოძმეთა გაყიდვას მთელის გუნდობით, დასობით, სოფლობით.

— ვინ უღალატა მეათე საუკუნეში საქართველოს მიწების შემკრებელს და სამეფოს გამაერთიანებელს ბაგრატ III-ეს?

— რატი ორბელიანმა, კახეთის თავად-აზნაურობამ.

— ვინ უღალატა საქართველოს გამაერთიანებელს დავით მეფეს?

— ჩოლაყაშვილმა.

— ვინ უღალატა დავითს და ვინ წამოუძღვა მთიულეთს თათრის ხანებს?

— შალვა ქვენაფლაველმა, ლარგველმა.

— ვის ვერაგობით მოსწყდა სამცხე და კლარჯეთი ქართლის ტახტს?

— გაიძვერა ათაბაგის ვერაგობით.

— ვის მტარვალობით გამაჰმადიანდა მესხეთი?

— იმავე ათაბაგებისა.

— ვის ბელადობით დააარსა შაჰაბაზ I-მა კაკ-ელისენის (საინგილოს) სასულთნო?

— თავად ვახახიშვილისა, რომელიც სულთანადვე დაიდგინა.

— ვინ უღალატა ქართლ-კახეთის გამაერთიანებელს ერეკლე II-ეს?

— ალექსანდრე ამილახვარმა და მასთან იმ კაცებმა, რომელნიც შიშიანობის დროს სამშობლოდგან გაიქცნენ, გავარდნენ და ახლა, მშვიდობიანობის დროს, დაბრუნება და ბატონობა მოინდომეს.

— ვინ იყვნენ ისინი, რომელთაც „არღარა აქუნდათ სიმტკიცე სჯულისა და მეფეთა თვისთა ერთგულება, ვინაიდგან მცირედითა ნიჭითა (საჩუქრით) გამაჰმადიანდებოდნენ და აქვნდათ როქი (ჯამაგირი) ყეენისაგან, შემყვარე იყნეს უფროს სოფლის დიდებისა, ვიდრელა სუფევისათვის ჩვენთვის დაკლულისა ქრისტესა“?

— ესენი იყვნენ ქართლის თავადნი; იასონ არაგვის ერისთავი, ქამარბეგ მელიქი, ერეკლს, რომელსა ზრდიდა მეფე ვითარცა ძესა, ძმანი მაჩაბელნი... „ესენი უდგებოდნენ ღალატად მეფესა“.

— ვინ უღალატა ლუარსაბს, სვიმონს, ერეკლეს აღა-მაჰმადხანის შემოსევის დროს? ვინ გაყიდა ერთ გუდა ბაჯაღლოდ თავისი სიძე-მეფე და სამეფო? ვინ გაყიდა შვიდ გუდა ოქროდ ლუარსაბ მეორე და საქართველო? ვინ გაყიდა... მაგრამ კმარა.

— ვინ ღალატობდა მე-XV საუკუნიდგან დედაქალაქ მცხეთის საყდარს?

— სხვა-და-სხვა კუთხის ეპისკოპოსები...

ვერაგ კაცთა ამბავის თხრობას მემატიანე ამ სიტყვებით იწყებს: „ჟამთა აღმწერელობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არათუ თვალხმა ვისთვისმე“.

ჩვენც ამგვარ თვალთა საზრისით დავიწყეთ „ისტორიული ცნობის“ წერა, და შემდეგაც მოვიყვანთ ცნობებს იმ უკეთურ ძალთა შესახებ, რომელთაც, ვიმეორებთ, ხელი შეუწყეს საქართველოსა და მასთან მის კულტურის დამხობას და თვით ქვეყნის დაკნინებას მის მიწა-წყლის გაყიდვითა და გაფლანგვით.

ბერი.

ჩვენებური ამბები

ახალი სენაკი (სამეგრელო). ახალი სენაკი შედარებით გვარიანი დაბაა: აქ არსებობს ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი, სადაც მასწავლებლებად უმეტესობა ქართველობაა, ორ-კლასიანი და საეპარქიო საქალებო სასწავლებლები, სახელმწიფო ხაზინა, ფოსტა და სხვა,—მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ აქ არ არსებობს სამკითხველო. დაუჯერებელია, რომ ახალ-სენაკის მკვიდრნი არ საჭიროებდენ სამკითხველოს. დარწმუნებულიც ვარ, რომ ყველა თანაგრძნობით მიეგებება სამკითხველოს გახსნას; საჭიროა მხოლოდ წინამძღოლი, თაოსანი. იმედია, ახალ-სენაკს აღმოუჩნდება ისეთი პირი, რომელიც შეაგონებს ადგილობრივ მკვიდრთ სამკითხველოს საჭიროებას და სასიქადულოდ დააგვირგვინებს ამ დიდად სასარგებლო საქმეს.

გრ. გიორგაძე.

—

რაჭა. ქალაქში ბევრი იმისთანა სასარგებლო დაწესებულებაა, რომლითაც ერთნაირად შეუძლიან ისარგებლოს თვითეულმა კაცმა, წოდებისა და ეროვნების განურჩევლად. სოფლელნი-კი სრულიად მოკლებულნი არიან ამგვარ დაწესებულებათ. ავიღოთ, მაგალითად, ყველასათვის დიდად სასარგებლო პასტერისებური ცოფით ასაცრელი საექიმო. ვინ იცის რამდენი ათასი კაცი მორჩენილა ტფილისში პასტერისებურ ცოფით ასაცრელ საექიმოში! ეი ამისთანა დიდად სასარგებლო დაწესებულების ამბავიც-კი არ იცის მიყრუებულ სოფელში მცხოვრებმა გლეხმა თუ აზნაურმა. საწყალ სოფლელს, თუ უბედურება შეემთხვა და დაიცოფა, მწარე სიკვდილი ელის. როგორც ვიცით, პასტერისებურ ცოფით ასაცრელ საექიმოში ყოველი ექიმობა უფასოთ არის და, თუ ცოფიანი პირუტყვით დაკბენილია კაცი ადგილობრივი პოლიციიდგან მოწმობას აიღებს, რომ ის ნამდვილად დაკბენილია ცოფიანი პირუტყვისგან და გუბერნატორს წარუდგენს, რკინის გზის ბილეთსაც უფასოდ დაუთმობენ.

ვ. ქიქინაძე.

—

საგარეჯო (ტფილისის მაზრა). დავით გარესჯის მონასტერს საგარეჯოში აქვს გაშენებული, ძველი დროიდგანვე, ვენახი, ზვარი. სივრცე ხსენებულ ზვარისა, როგორც გვითხრეს, ოც-დაექვს დღიურს აღემატება. მიმდინარე წლის ზაფხულს, რამდენჯერმე მოგვიხდა მისი დათვალიერება, ზოგჯერ თვით მონასტრის წინამძღვარის მღვდელ-მონაზონის გაბრიელის (აბაშიძის) ხელმძღვანელობით და საჭირო განმარტებით; ზვარი კარგად იყო შემუშავებულ-მოვლილი. სწორედ კოხტად მორთულ პატარძალს მოგაგონებდათ თვითეული ვაზი.

ზვრის გარშემო, ზღუდეს შიგნით, ცარიელი ადგილი მოიპოვება, რომლის სიგანე დღიური იქნება. წარსულ ზაფხულამდე უნაყოფოდ დატოვებული იყო, მხოლოდ ცხენები და ულაყები თუ სარგებლობდნენ მასზედ მოსულ ბალახით, თორემ სხვა არავითარ ნაყოფს იგი არ იძლეოდა. ამ ზაფხულს-კი ადგილი მთლად დაბარული და დამუშავებული ვნახეთ. რა ბოსტნეულობას იკითხავდა კაცი, რომ არ ენახა მასში.

დავათვალიერეთ აგრეთვე მარანი, ზვარშივე აშენებული. მარანში, სხვათა შორის, ვნახეთ ყურძნის საწურავი, ევროპიული მანქანა და სიმინდის საცეხვავი. წინამძღვარმა გაბრიელმა ნათლად გვიჩვენა, თუ ყურძნის საწურავს რა უპირატესობა აქვს ჩვენებურ საწნახელთან შედარებით და სიმინდის საცეხვავით როგორ ადვილად იცეხვება სიმინდი. სიმინდის საცეხვავი გაბრიელს ცხრა მანეთად შეუძენია და საწურავი ყურძნისა 40—45 მანეთად. ზოგი გლეხი ჩვენებურის სიმინდის ცეხვის წე-

ფელეტონი

იორდანე

(ანბავი)

I

— ღმერთი გადღეგრძელებს, შვილებს გიცოცხლებს, შეგვიბრალე, ნუ დაგვღუპავ, ნუ დაარბევ ჩემ ობლებს!

— გაჩუმდი, გაჩუმდი, თავი ნუ მომაპეზრე შენი ღრიჭინით! ვთქვი და ავასრულებ კიდეც! სამი წელიწადია სულ აგრე მატყუილებ, ბოლო აქვს მოთმინებასაც!

— რად გატყუილებ, შენი ჭირიმე, გეხვეწები, მხოლოდ შემაძლებინო და მამის ვალი ამ ბიჭს თავის შრომით გადაახდევინო.

— არა-მეთქი! არა და არა! ხარები უთუოდ უნდა გაიყიდოს, უთუოდ!

— ღმერთო, ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი! ჩემს ობლებს რაღა ეშველებათ, რიღათი უნდა ისაზდოვონ!.. და ამ სიტყვებს დედაკაცის მწარე ქვითინიც მოჰყვა.

ამ ხმაზედ მე საჩქაროდ გავარდი იმ ოთახში, სადაც ძალუა ჩემს სამსჯავრო ჰქონდა გამართული და სადაც ის ჩვენი სოფლის ბედ-იღბალს განაგებდა.

— რა იყო, ლომაურო, რა გატირებს?— გულმოდგინედ დავეკითხე მოტირალ დედაკაცს და თან ძალუაჩემს გაიანეს საყვედურით გადავხედე; ამან პირი უკუღმა მიიღო და, პასუხის მაგივრად, რაღაც გამოურკვეელი, დუდუნი დაიწყო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ძალუაჩემი ერთი იმ დედაკაცთაგანი იყო, რომელთაც თავის სიცოცხლის საგნად, თავის გულითად სურვილად, თავის ყოველ დღიურ საქმედ გაუხდიათ სხვისი ტანჯვა, სხვისი ვაი-ვაგლახი, სხვისის შავით და ბნელით გულის მოოხება; ამგვარი დედაკაცები მისხი-მისხად ეძებენ მსხვერპლს, დაუყოვნებლივ აფათურებენ ხელებს სიბნელეში, რომ კლანჭებში მოიგდონ ვინმე და, ხომ მოგეხსენებათ: „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთო“, იმათი სურვილი თითქმის სავსებით კმაყოფილდება.

ძალუაჩემი განაგებდა მთელს თავიანთ ფართო მამულს და მასთან ერთად ჩვენსასაც, რადგანაც მეცა და ჩემი უნცროსი ძმაც უწლოვანნი ვიყავით და „აპეკუნათ“ ის ითვლებოდა. გარდა ამისა, ძალუაჩემს პატარა თანხაც ჰქონდა და მის ზრდას და ხელის შეწყობას, რაკვირველია, მამულზედ ერთი ათად უკეთ ჰპატრონობდა. სოფელში კაცი არ იყო, რომ გაიანეს ფული არ მართებოდა და მისგან დამოკიდებული არ ყოფილიყო. ამ მიზეზებისა გამო, ზაფხულობით, როდესაც ჩვენ სოფელში მივიდოდით, დასვენებისა და განცხრომის მაგივრად, ჩვენ სახლში დაუსრულებელი ომი და წყევლა-კრულვის ხმა-ღა გაისმოდა. ძალუაჩემი შეუბრალებელი მსაჯული იყო და მისგნით განსჯილთა ტირილი და ვაება მისი სისასტიკე და გულ-ქვაობა, სწამლავდა ჩემ სიცოცხლეს.

ერთი ამგვართთაგანი სცენა იყო დღესაც. ძალუაჩემი გაანჩხლებული ბრძანებლობდა და ერთი შუა ხნის დედაკაცი და, მის გვერდით მდგომი თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭი, რაღასაც ემუდარებოდნენ იმას და სტიროდნენ.

— შენ მაინც დაგვეხმარე, ჩვენო პაწაწა ქალბატონო, შემამბლავლა ლომაურმა, *) რაწამს კარებში დამინახა.—ძალუა თქვენი გვარბევს, ერთად ერთი უღელი ხარი გაგვაჩნია მთელ ოჯახს საცხოვრებლად და იმასაც გვართმევს, „პრიჰტავს“ აყიდინებს. ჩვენ ვეხვეწებით, ეს ბიჭი იმსახუროს და ვალი ჯამაგირით გადააწყვეტინოს!..

— პატარა ქალბატონო, — თავ-ჩაღუნვით წაიტუტუნა ყმაწვილმა ბიჭმაც—დაგვეხმარე... თუ გიშერას და შინდას გამიყიდიან, მე თავს აღარ ვიცოცხლებ!—და... მაზარის კალთით თვალზედ ჩამოგორებული ცრემლები მოიწმინდა.

ყმაწვილი ბიჭის სიტყვებში იმდენი მწუხარება და მასთან ისეთი ძლიერი მუქარის კილო იყო, რომ ძალუა ჩემი აფთარივით წამოხტა და გეზელ-ქორივით შეჰკივლა:

— ქა, ქა! ერთი არა ხედავთ ამ მამა ოხრებს, რეებს ჰბედავენ!—და თითქო საცემრათ გაიწია ლომაურისაკენ.—მაბეზღებთ კიდეც და მერე ვისთან? ამ ლაწირაკ გომბიოსთან, ამ ვითომდა განათლებულ ყაჩაღანასთან?! მაშ, კარგი, კარგი! ეგ იყოს თქვენი შემწე და ვნახოთ, თქვენი ხარები ვის დარჩება! მაშ მე გაიანე არა ვყოფილვარ და თავზედ ლეჩაქი არა მხურებია, თუ ეს თქვენი ახალი მოსარჩლე, თქვენთან ერთად, პირში თითკამოვლებელი არ დავსვა!

ძალუაჩემის გულის წყრომა ეხლა სულ მთლად ჩემზედ გადმოვიდა. დიდხანს იბობოქრა, დიდხანს მწყევლა და მკრულა და ბოლოს, როგორც იყო, მოიღალა და გაჩუმდა. მე მოთმინებით ვუსმენდი და, როცა დაშოშმინდა, ვკითხე:

— ყველა კარგი, ძალო, მაგრამ ეს-კი ვერ გავიგე, როგორ არის საქმე? თუ ერთი უღელი ხარის მეტი არა ჰყავთ, როგორ უნდა გაუყიდოთ? ამწას რიღათი მოხვნენ, ღალას და თქვენ სამსახურს რიღათი-ღა გადაიხდიან, სხვა რომ არა იყოს-რა?

— შენ, შენ ოთახში გეეთრიე, შენი საოცროსპოლლო წიგნები იკითხე! რა შენი საქმეა ჩემი ავისა და კარგის გამოძიება. რამდენჯერ მითქვამს შენთვის, ჩემ საქმეში ნუ გაერევი-მეთქი!—კიდევ დამიშტიალა ძალუაჩემმა.

— არა, ბატონო, თქვენ საქმეში-კი არ ვერევი, მაგრამ მინდა-კი შევიტყო, რა ამბავია. მე ეხლა თვრამეტი წლისა ვარ, კურს დასრულებული; დიახ, რაც უნდა მასხარად აიგდოთ ჩემი განათლება, მაინც კურს დასრულებული ვარ და ეს კურს დასრულება, მოვალეობათ მდებს შევიტყო ჩვენი გლეხების ავი და კარგი, ჩვენი მამულის მართვის რიგი და ურიგობა!

— თვრამეტი წლისა! თვრამეტი წლისა!— გამომაჯავრა ძალუამ.—მერე რაო? განა თვრამეტი წლისა რომა ხარ, იმიტომ თავზედ უნდა დამაჯდე? არ გეყო, რომ თქვენი წილი წლის შემოსავალი შენ ჩაიბარე, დღეიდგან შენ ბრძანებას და თვალ-ყურის გდებაშიაც უნდა ვიყვე? უწინამც დღე დაგლევია, ჰო და აგრე! შე, ლირფო შენა!

— ძალო, ძალო, კმარა! ლანძღვას თავი დაანებეთ და ამ საცოდავებს ნამდვილი პასუხი უბოძეთ.

— მითქვამს და გამითავებია: ხვალ „პრისტავი მოვა და მაგათ ხარებს ტორგით გაჰყიდის! მე ჩემი ვალი მინდა, მინდა, რით ვერ გაიგეს!

— ქალბატონო, ქალბატონოო! ყელს ნუ გამოგვჭრი, ნუ დაგვღუპავ...—ერთხმივ შეჰბღავლეს დედაშვილმა და მეც მოთმინება დავკარგე.

— მაშ კარგი და, თუ აგრეა, ამ ბიჭს მე დავიჭერ მოჯამაგირედ და აი, წინდაწინვე ამის ჯამაგირს მე გაძლევთ. გთხოვთ გაანთავისუფლოთ ამისი ხარები და გული დაიმშვიდოთ.

იმავ წამს გამოვარბევინე სამი თუმანი ჩემის ოთახიდგან და მივეცი ლომაურს თამასუქის გამოსახსნელად.

ძალუა ჩემი სახტად დარჩა, ლომაური-კი თავის შვილით ფეხ-ქვეშ ჩამივარდნენ და მდუღარებით მისველებდნენ ხელებს.

II

ამ დღიდგან ლომაურის შვილი იორდანე ჩვენ მოსამსახურედ განწესდა და იმას, როგორც ჩემ „პროტეჟეს“, ყოველთვის ვმფარველობდი, ვიხსნიდი ძალუა ჩემის კლანჭებიდგან და შემოდგომაზედ, როდესაც ქალაქში გადავსახლდით საცხოვრებლად, კარგი ტანისამოსი შევუკერე, დავავალე რომ სუფთად, ფაქიზად ყოფილიყო ყოველთვის ჩაცმული და სუფრაზედ ემსახურნა.

ძალუა ჩემი, როგორც მოგახსენეთ, ერთი ჯიუტი, თავის სიტყვის, თავისის ახირების ამსრულებელი დედა-კაცი იყო; თუმცა უნებურად დასთანხმდა იორდანეს მოსამსახურობაზედ, მაგრამ ჩემი გამოჯავრებული, სცდილობდა ყოველ ნაბიჯზედ, ყოველ საქმეში, რითიმე შეეწუხებინა, შეეურაცხჰყო, წინ ქვა გაეგდო და ის უბედური უკან გეეყოლებინა.

— იორდანე, იორდანე, იორდანე! რა სახელია, ქა! იორდანე...ე...ე ხა, ხა, ხა! გადიხარხარებდა ნაძალადევად ძალუა ჩემი. იორდანე, იორდანე, შენ, ეი, ტეტიავ! ბაზარში წადი და ვინძლო მყრალი, ქუჩაში გადასაგდები მატლიანი ხორცი მოიტანო. აბა, ჰა! თუ კარგი ახალი დაკლული ხორცი არ მოიტანე, კარგი ნაჭერი, ჩალაღაჯი, ან მე და ან შენ! გესმის, მაიმუნო, დოყლაპია, იორდანე ..ე...

— მესმის, ბატონო, მესმის და ვეცდები საუკეთესო ნაჭერი ავარჩიო,—მიუგებდა თავ-ჩაღუნული, მართლაც და დოყლაპიის მგზავსი არსება, იორდანე.

— „ვეცდები, ვეცდები“, კიდევ გამოაჯავრებდა ლიფლიფით ძალუა ჩემი, ვეცდები! მახონო, ტინგიცელავ!

— ოხ, ღმერთო! რა არის მაგდენი ჩიჩინი, მასხარად აგდება მაგ უბედურისა! ნუ თუ სხვა უკეთესი საგანი ვეღარ გიპოვნიათ დროს გასატარებლად? ნუ თუ ადამიანათ არ მიგაჩნიათ ეგ საცოდავი ქმნილება?

— ოჰ, წეესარჩლე, „ნიგილისტკავ“! შენ ხომ ყველასათვის გული გტკივა! თუმცა თქვენის ჯამაგირით გახლავსთ დაჭერილი, მაგრამ დღეს შენც და ეს ვაჟბატონიც ჩემ სახლში ჰყრიხართ და, როგორც მინდა, ისე მოგექცევით! როცა შენ შენი საკუთარი სახლი გექნება, შენ „გაჩოთქილ“ ლაქიებს, თუ გინდა, პირიც მოუკოცნე!

ეკ. —ლი.

(შემდეგი იქნება)

---

*) ზემო ქართლში გათხოვილ ქალს, მეტადრე დარბაისელს, ყოველთვის იხსენიებენ თავის მშობლის გვარისშვილობით. მაგალითად ლომაური—ლომაძის ქალს ნიშნავს.

სით ცხრა მანეთზედ მეტს ჰხარჯავს ყოველ წლიურად და მეტს დროსაც ანდომებს. ჩვენებური ქვიტკირის საწნახელის აშენება ხომ გაცილებით მეტი უჯდებათ გლეხებს, ვიდრე ევროპიული ყურძნის საწურავის შეძენა დაუჯდებათ.

ეხლა ვიკითხოთ, გლეხთათვის რა ხელ-საყრელია ამ საწურავის შეძენა? საწნახელში ყურძნის დაწურვას, თუ მომეტებული ყურძენია, რავდენიმე კაცი უნდება; ეს კაცები ხშირად უსუფთაო ფეხებით სდგებიან ყურძენზედ და ისე შჭყლეტენ. წურვის დროს კარგადაც შეექცევიან საუკეთესო ყურძენს, და თუ ამის ნება არ მიეცით, არც-კი კადრულობენ ამგვარს შრომას. ამასთანავე მრავალი მარცვლები დაუწურავი რჩება და ყურძნის წვეთს ქვევრში ჩასდევს, რაიცა ქვევრშივე ლპება და ღვინოს აფუჭებს. საწნახლის დამზადება სამიოთხი დღით ადრე ჰხდება ხოლმე და ზოგჯერ ერთი კვირითაც; უნდა იგი წყლით კარგად გაირეცხოს; გარეცხის დროს კირი, რომლითაც საწნახელია შიგნიდამ გალესილი, სველდება, ხშირად შორდება კედელს და ყურძნის დაწურვის დროს წვენს თან ჩასდევს ქვევრში, რაიცა ყურძნის წვენს ღირსებას უკარგავს. გაბრიელის მიერ შეძენილს საწურავს-კი ესრეთი ნაკლი არა აქვს. ამ საწურავისათვის ორი კაცი სრულიად საკმარისია — ერთმა უნდა ატრიალოს საწურავის ჩარხი, მეორემ-კი მარჯვედ უმატოს ყურძენი, ასე, რომ ჭამისათვის ვერც-კი იცლიან ისინი და, თუნდაც მოიცალონ, სად ორი კაცის შეჭმული და სად მომეტებულთა! სუფთადაც იწურება ყურძენი; არც მთლიანი მარცვლები გასდევს წვენს; ამბობენ-კი, წურვის დროს მარცვლის კურკებიც იმტვრევაო, რაიცა სასურველი არ არისო, რადგანაც ქვევრში ჩაყოლილი დამტვრეული კურკები წვენს გემოს აძლევსო და ღირსებას უკარგავსო. ამ ნაკლზედ გაბრიელმაც მიგვითითა; დასარწმუნებლად ერთი მტევანი ისრიმისა გავსწურეთ ხსენებულის საწურავით და ზემო მოყვანილი აზრი უსაფუძვლოდ მივიჩნიეთ, ვინაიდგან მარცვლების კურკები არ გაუჭყლიტა.

ამგვარად შემუშავებულ მამულს ორ ნაირი სარგებლობა მოაქვს სოფლელებისთვის: ერთის მხრივ გლეხ-კაცობა, როგორც მუშა ხალხი, ფულით სარგებლობს სოფელ ადგილას, რადგანაც ზვარის შემუშავებას დიდძალი მუშა-ხელი სჭირდება და, მეორეს მხრივ, გლეხი კაცი მუშაობს მეურნეობის მცოდნე პირის ზედამხედველობის ქვეშ.

საგარეჯოს და მისს გარშემო მდებარე სოფლებში მცხოვრებთათვის ამგვარივე მნიშვნელობა აქვს მანავში მდებარე ფრიდონოვის მამულებს. ხსენებულ მამულებში ადგილობრივი გლეხ-კაცობა მუშაობს სპეციალისტის ზედამხედველობის ხელმძღვანელობის ქვეშე და მუშაობასაც სწავლობს და ხვედრს სამუშაოსაც ღებულობს. ამ მიზეზით, ამბობენ, მანავისა და მეზობლად მდებარე სოფლის ჩაილურის ვენახებს წარმატება დაეტყოვო.

დავით გარესჯის მონასტერს საგარეჯოში, მდინარე იორის პირას, წისქვილიც აქვს გაშენებული, რომლის წყლის არხი ამ წელს გაფუჭებულიყო. მონასტრის წინამძღვარის გაბრიელის მეცადინეობით საგარეჯოს, ნინო-წმინდის, წმ. გიორგის და ახბულახის სოფლების საზოგადოებათ, ჩვეულებისამებრ, უკისრიათ ხსენებულ არხის გასუფთავება უსასყიდლოდ, რადგანაც სოფლების საზოგადოებანი სხვა დროსაც ხშირად კისრულობენ ხოლმე მონასტრის სასარგებლოდ უსასყიდლოდ მუშაობასა, როგორც უძველეს დროიდგანვე მისი მლოცავები.

მღ. დ. გარ—ლი.

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა და მემამულეთა კრება.

(წერილი თელავიდგან).

როცა კრება გაიხსნა, თავმჯდომარემ მოაგონა კრებას გუშინდელ კრებაზედ გადადებული საკითხი საქონლის ჭირზედ ბეითალის მოუსვლელობისა გამო. ახლა ბეითალი აქ არის და მოვუსმინოთ, რას გვეტყვის საქონლის ჭირზედ, ან ინსტრუქციაზედ, რომლითაც ჭირის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელმძღვანელობენო.

ბეითალი ბ. რიაზანცოვი. ჩვენის ინსტრუქციის ძალით, თუ ერთი ავადმყოფი საქონელი აღმოჩნდა სოფელში, რაც საქონელია, სულ უნდა გავსწყვიტოთ, მაგრამ ერთის მხრივ, რადგანაც ხაზინისათვის დიდად საზარალოა და მეორეს მხრივ, თვით საქონლის პატრონისათვისაც უსაქონლობა ხელ-ფეხის შეკვრაა, ჩვენ ინსტრუქციას სავსებით არ ვასრულებთ, ვხოცავთ მარტო ჭირიან პირუტყვს. ამისთანა საშუალებაც ჯეროვან წინააღმდეგობას გაუწევდა ჭირის გავრცელებას, თუ ხელს არ გვიშლიდეს გლეხების შეუგნებლობა. მე ვსთხოვ აქ შეკრებილთ თავად-აზნაურთ, შეაგონონ გლეხებს, რომ ჭირიანი საქონელი არ დამალონ, რა დროსაც ავად ხდება, მაშინვე შეგვატყობინონ. აგრეთვე დააჯერონ გლეხები, რომ [illegible]შინჯათ საქონელი სრულად გამოიყვანონ. ახ- [illegible]ი, საქონლის თითქმის მესამედს მალავენ, [illegible]აც ხელს უწყობენ ჭირის გავრცელებას.

[illegible]ის გარდა, ყველანი უნდა დავარწმუნოთ, რომ [illegible] მთელის საქონლისა საუკეთესო საშუალებაა. [illegible]რთალია, ახლა ჯერ არა გვაქვს იმდენი საშუა[illegible]ება, რომ, როგორც მოითხოვს მეცნიერება, მთელ საქონელს ავცრათ, მაგრამ, მინამ ხალხი მომზადდება, საშუალებაც აღმოჩნდება. შრატის საკეთებელი განყოფილება გაიხსნება, ან უკვე არსებული გაფართოვდება. მართალია, გასინჯვის დროს საქონელს ერთად ვყრით თავს, მართალია, შესაძლებელია, ასე თავ-მოყრით ჭირიანი გაერიოს ჯანმრთელს საქონელში და გადსდოს ჭირი, თუმცა ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ, რომ ეს ასე არ მოხდეს.

შემდეგ ბ-ნ რიაზანცოვს შეეკითხნენ და მისს პასუხებიდგან გამოირკვა, რომ ერთს ბეითალს შეუძლიან იბრძოლოს ჭირის წინააღმდეგ ნაყოფიერად: 1) თუ 600 სულ საქონელზედ მეტი არ ეყოლება, 2) თუ აწინდელი ფასები დახოცილ საქონლისა მომატებული იქმნება, 3) თუ ფულის დარიგება საჩქაროდ მოხდება, 4) თუ ჯეროვანი ყურადღება იქნება მიქცეული, რომ კახეთში სხვა მხრიდგან გაუსინჯავად საქონელი არ შემორეკონ, რადგანაც დიდი ბრალი აქვთ ჭირის გავრცელებაში საქონლის მოვაჭრეებს. საქონლის ჭირი, ყველა ამ ზომების მიღების შემდგომაც, მაინც კიდევ დიდს ხანს გასტანს.

ბ. სცარონსელსკი. მე არა ვარ მტერი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლისა, მაინც მჯერა, რომ ყოველივე გადამდები ჭირი ისეთი მოვლენაა, რომელიც მოედება ერთს მხარეს, მუსრს ავლებს და თავის-თავადვე ისპობა. ამიტომ უმჯობესად მიმაჩნია კარანტინით შეზღუდვა ჭირიან და უჭირო ადგილებისა, სხვა ყოველგვარ ღონისძიების თავის დანებება, რასაკვირველია, გარდა აცრისა, რომელსაც უებარი მნიშვნელობა აქვს.

კრებამ ზემოხსენებულ საკითხების შესახებ გადასწყვიტა: 1) აღიარებულ იქმნას სავალდებულოდ ნადლის გამოსყიდვა აწინდელ ფასებით. 2) მცირე მემამულეთა დროებით-ვალდებულ გლეხებს სახელმწიფო მიწებიდამ მიეცეთ ნადელი. 3) ეკონომიურად გათანასწორებულ იქმნენ სახასო და საბატონო გლეხნი. 4) ან იმდენი ფული იქმნას გადადებული, რომ სამეთვი ბეითალების ყოლა შეიძლებოდეს, დახოცილ საქონლისათვის მაშინათვე რიგიანი ფასი რიგდებოდეს და საყოველთაო ჭირის აცრა სწარმოებდეს, ან არა და ყოველი ღონის-ძიება მოისპოს, მარტო კარანტინი იყოს დაწესებული და სავსებით იქმნას შესრულებული მოთხოვნილებანი ამის შესახებ.

თავმჯდომარემ აცნობა კრებას კანონმდებლობა საძოვრის შესახებ. აღმოჩნდა, რომ დროებით ვალდებულ გლეხებს ნადლის გამოსყიდვის შემდეგაც აქვთ ნება ნაბატონარის მიწაზედ აძოვონ საქონელი, როცა ყანა მომკილია და აღებული.

ბ. ლანდუროვი. ეგ კანონები, თუმცა შეეხებიან სალაპარაკო საგანს, მაგრამ დროებითი მნიშვნელობა აქვთ და არა სამუდამო. ჩვენ მოველით დღეს-დღეზედ კაპიტალისტურ მეურნეობას, რომელსაც შეუძლიან სრულიად შესცვალოს აწინდელი პირობანი, აი მაგალითი: თ-დ გახვახიშვილის მამული იყიდა მადათოვისამ, მისი დავალებით, თვითონ მე შემოვღობე 15 დღე. სახნავი მიწა და ვაზი ჩავყარე. კანონის ძალით დროებით-ვალდებულს გლეხს ჰქონდა უფლება ამ მიწაზედ ეძოვებინა თავისი საქონელი; ამავე კანონის ძალით, მიწის პატრონს აქვს უფლება მიწაზედ სხვა მეურნეობის შემოღებისა. გამოდის, რომ გლეხიც მართალია, რომ უნდა აძოვოს და მიწის პატრონიც მართალია, რომ არ შეუშვას გლეხის საქონელი ვენახად შემოღობილში. ამასთან, დღეს თუ მადათოვისამ 15 დესიატინა შემოღობა სავენახეთ, ხვალ იმაზედ შეძლებული ჩითახოვი იყიდის და დობის მაგიერ ქვიტკირის გალავანს შემოავლებს მთელს მამულს და შიგ ვაზს ჩაჰყრის. სადღა გვძებოთ მაშინ გლეხის კანონიერი უფლება ძოვებისა! ცხადია, დღეს ეს კანონიერი უფლება გლეხისა ხვალ საზღაპრო ამბად გადიქცევა, თუ არ შეიზღუდა უფლება სხვა მეურნეობის შემოღებისა.

კრებამ გადასწყვიტა, რომ საძოვრის საქმე შეწყვლად გაწესრიგებულ იქმნას და, სადაც არ შეიძლება დროებით-ვალდებულ გლეხებს, მიეცეთ საძოვარი საბატონო მამულში, იქ ხაზინამ მისცეს.

თავმჯდომარემ მოახსენა საკითხი სამეურნეო საკუთრების დაცვაზედ და მამულის გაფანტვაზედ. პირველის შესახებ წაიკითხა თ-დ დ. ჯანდიერის ცნობილ მოხსენებიდამ სასოფლო საზოგადოებათა ხელ-შეკრულება, რომელშიაც ერთ-ერთის თავდებობით კისრულობს სოფლის საზოგადოება ზღოს დაკარგული სამეურნეო საკუთრება.

კრებაზედ გამოითქვა აზრი, რომ მიზეზი სამეურნეო საკუთრების წახდენისა, თუ დაკარგვისა ეკონომიური დაქვეითება, გონებრივი უმეცრებაა და სამართალში ბრალდებულზედ საქმის წარმოების დაგვიანება არისო. კრებამ თავ. დ. ჯანდიერისაგან ნაჩვენები საშუალება არ შეიწყნარა და გადასწყვიტა: ეკონომიურ და გონებრივ წარმატებისათვის ნაჩვენებ საშუალებათა გარდა, ვითხოვოთ, რომ მომრიგებელ სამსაჯულონი მომატებულ იქმნან.

კრება გადაიდო მეორე დღისათვის.

ნადიკვრელი.

კავკასია

ბაქო. დღეს ნავთის სამეფოში პირველი ადგილი უჭირავს თავის წარმოებით ნობელის ამხანაგობას, მას ეკუთვნის უპირველესი ხმა, იგია აქ მეფეთა მეფე. არა ერთი და ორი პატარა მრეწველი აუტირებია მას წარსულში, არა ერთსა და ორს მათგანს მოსპობს კიდევ მისი მსგავსი სქელ-ჯიბე კაპიტალისტი აწმყო მომავალში.

მათი გავლენა დიადი იყო წარსულ კრიზისის საქმეში და თვალსაჩინოა დღეს მათი მოქმედება ნავთის ფასების აწევ-დაწევაში. დღეს მოუმატებენ ფასებს, ხვალ მოუკლებენ, ზეგ აუწევენ, ზეგის წინ დაუწევენ და ამ თამაშით ნელ-ნელა აღწევენ დიდი ხნის განზრახვას, თავიანთ ქონებას ადიდებენ, პატარეებს-კი სრესენ.

საბუნჩა-ბალახანა-რამანაში ნობელის ამხანაგობას აქვს ექვსი სარეწვი (промыселъ), რომელიც შესდგება 289 მომქმედი და 114 გაუქმებული ნავთის ჭისაგან. უშადრევანოდ იძლევიან ეს ჭები დღეში 200,000 ფუთ ნავთს. მაშასადამე, ნავთის ფასს თუ ფუთზე ერთი-მეორეზე 9—10 კაპ. ვიანგარიშებთ, დღიური შემოსავალი ექნება ამ ფირმას — 18,000—20,000 მან., თვიურად-კი შემოუვა 540,000—600,000 მან... თუ მხედველობაში მივიღებთ შადრევნებს, რომელიც ხშირია ნობელის მამულებში, მაშინ ეს ციფრი ძალიან იმატებს...

ხსენებულ ადგილებში ნობელის მუშათა და მოხელეთა რიცხვი უდრის 2955 კაცს. მათგან მმართველობაში მსახურობს 122, ხელოსნად არის 717 და დანარჩენი ასრულებს სხვა-და-სხვა საქმეს. ჯამაგირად ყველა ამათ ეძლევა თვეში 89—90 ათას მანეთამდე. მუშებისა და მოხელეების ჯამაგირს გარდა რჩება ნობელს თვეში 451,000—510,000 მანათამდე.

სამუშაო ქირა, საზოგადოდ, ასეა გადაკვეთილი: მუშა იღებს 60 კაპ.—80 კაპ., ხურო 1 მან. 20 კაპ.—1 მან. 80 კაპ., ზეინკალი 1 მ. 20 კ.—2 მ. 50 კ., ხარატი 4 მ., მჭედელი 5 მან., მექვაბე 1 მან. 50 კაპ.—3 მან., ნავთის ამოსაღები მილის მკეთებელი 1 მ. 20 კ.—1 მ.60 კ.

თვიურად: ჭის მთხრელი იღებს 80—300 მან., მისი თანაშემწე 40—75 მან., „კლიუჩნიკი“ 25—45 მან., „ტარტალჩიკი“ 20—27 მან,. მემუხრუჭე 18—25 მან., მუშა 15—16 მან., მეეზოვე, მცველი და ყარაული 16—20 მან. და მეეტლე 20—30 მან.

განსაკუთრებით ნობელის ქარხანაში ეს ფასები დაკლებულია, მაგრამ რადგანაც მან კრიზისისა არა იცის-რა, რადგანაც მას სამუშავარი ნიადაგ აქვს და არც ფული იკარგება მაზე, ამიტომ მუშებიც მას უფრო ეტანებიან...

საბუნჩა-რამანა-ბალახანაში აქვს ნობელის ამხანაგობას მუშათა სადგომად 16 „კაზარმა“ ხელოსანთათვის—135 და მმართველობისათვის 44 სადგომი. ყველა ეს სადგომები კარგად მოწყობილია, ამ მხრივ ნობელს თითქმის ყველა ნავთის მწარმოებლისათვის გაუსწვრია. დანარჩენების სადგომების შესახებ იგივე არ ითქმის, იგი ამ მხრივ ბევრსაც ჩამორჩენია უკან...

ნობელის აქაური ქარხნის ადმინისტრაცია შესდგება თითქმის სულ მისი თანამემამულეებისგან — შვედებისაგან. იგი მათ დიდ მფარველობა პატრონობას უწევს. მართალია, არიან აქ სხვა ნაციის მოხელენიც, მაგრამ ერთობ ცოტა. თანაც მათ შვედებთან შედარებით ძალიან ნაკლები ჯამაგირი ეძლევათ. როგორც ყოველდღიური ცხოვრებიდგან ვხედავ, ნობელი საზოგადოდ ადმინისტრაციაზე უფრო ზრუნავს, ვინემ მუშებზე: სხვათაშორის, ბალახანაში აქვს მას ადმინისტრაციისთვის კლუბი, სადაც არის მოთავსებული წიგნთ-საცავი, სამკითხველო, სცენა, ბილიარდი და სასადილო. გარდა ამისა, აპირობს ააშენოს მაშტაგაში *) საგარაკო სახლი, 200,000 მანეთი უჯდებაო ამბობენ. აქ იცხოვრებს ზაფხულობით იმ ადმინისტრაციის წევრის ოჯახობა, რომელსაც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო არ შეუძლია შორს სადმე წავიდეს.

ეხლა შევეხოთ იმას თუ რა და რა ნაციის ხალხია საზოგადოდ აქაური მუშები და მოხელეები, ან რა სამუშაოს ეტანება თითოეული მათგანი, აგრეთვე აღვნიშნოთ ისიც, თუ ვის ხელშია უმეტესად დღევანდელი აქაური ნავთის მრეწველობა.

მუშათა და მოხელეთა შორის ყველა ნაციის ხალხს შეხვდებით, მხოლოდ უმეტესობის მიხედვით შემდეგ სურათს დაინახავთ: ხელოსნები — რუსებია, მიწის მუშა რუსები და სპარსელები, მეეტლებად — ყაზანელი თათრები, ყარაულებად და მცველებად ლეკებ-თათრები, ჭის მთხრელებად ცოტა ქართველიცაა. დღიურ ქართველ მუშას აქ ძვირად ნახავთ, საზოგადოდ, ქართველები ცოტანი არიან ნავთის სამეფოში. ვინც არის, უმეტესად ქარხნის წვრილი მოხელეა, ან და „ჩინოვნიკი“, ზოგი უქმად მოხეტიალე კომიტეტის წევრიცაა. ზოგიც ვაჭრობას მისდევს. ნავთის საქმეში ჯერ-ჯერობით სამ მათგანს აქვს ჩადგმული ფეხი, მხოლოდ მათი მდგომარეობა სამწუხარო თუ არა, სახარბიელო მაინც არ არის...

ნავთის მრეწველობა უმეტესად საზღვარგარეთლებისა, თათრებისა და სომხების ხელშია. რაიცა შეეხება ადვილად გასამდიდრებელ ან და ფეხზე ვაჭრობას, ეს სულ ურიებისა და სომხების საქმეს შეადგენს. .

დასასრულ ორიოდე სიტყვა აქაურ საავადმყოფოზე. ნავთის მწარმოებლებს აქვს სამი საავადმყოფო: ერთი ბალახანაში, მეორე რამანაში და მესამე შავ-ქალაქში, მაგრამ ამ ჟამად მე მხოლოდ პირველს შევეხები. ბალახანას საავადმყოფო არსებობს სულ რაღაც ოთხი წელიწადია. შესდგება 5 „ბარაკისაგან“ ანუ 7 განყოფილებისაგან. მსახურობს აქ 7 ექიმი (ერთი მათგანი ქართველია, კ. ტ—ლ—ძე) 8 ფერშალი, 12 დაი მოწყალებისა და სამიც ბებია ქალი.

საავადმყოფოში არის 170 კრაოტი. მას აქვს თავის აფთიაქი და აბანო. ნავთ-მაზუთში ამოსვრილ ავადმყოფს მუშას ჯერ აქ აბანავებენ ხოლმე კარგად და შემდეგ საავადმყოფოში აწვენენ.

აფთიაქი არის მოთავსებული ახალ ამბულატორიის სახლში. მსახურობს აქ ერთი პროვიზორი, ორი მისი თანაშემწე და 2 შეგირდი, მზადდება დღეში 200—280 რეცეპტით წამალი...

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გაზეთ „ბაქოს“ № 31-ში მოხსენებული ნაკლი ბევრი უკვე გაასწორა ამ საავადმყოფომ და ზოგსაც უეჭველად მალე გაისწორებს, მაშინ მისი საქმე-წეს-რიგი სასურველ ნიადაგზეა დამყარებული. მისი მზგავსი ჩვენში ბევრი კერძო საავადმყოფოც არ მოიპოება. თუ ჭიათურის საავადმყოფოს უმეტესობა გაურბის, აქაურს ყველანი ეტანება, მაგრამ, იმედია, მარგანეცის მწარმოებელნი არ ჩამორჩებიან ამ მხრივ აქაურებს და ეცდებიან, ძირიანად შესცვალონ დღევანდელი მათი ქსენონის წეს-რიგი და საქმე. ღმერთმა ქნას ეს მალე მომხდარიყოს: ექიმობა ყველგან აუცილებელი საჭიროებაა.

პეტრე.

უცხოეთი

პარიჟის უნივერსიტეტი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). სანამ პარიჟის უნივერსიტეტის შესახებ ვიტყოდეთ რასმე, საჭიროდ მიგვაჩნია განვუმარტოთ მკითხველებს, საფრანგეთში რა მნიშვნელობა აქვს სიტყვას „უნივერსიტეტი“. რუსეთში უნივერსიტეტს სხვა მნიშვნელობა აქვს, საფრანგეთში—სხვა. ყველა სასწავლებელი, სადაც-კი შესაძლებელია უმაღლეს განათლების მიღება, აქ უნივერსიტეტად იწოდება. ამ გვარი სასწავლებლები პარიჟში ძალიან ბევრია; ხოლო თვითოეულს მათგანს თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს. ამისათვის ყველა უმაღლეს სასწავლებელთა გაცნობა ერთსა და იმავე დროს ყოვლად შეუძლებელია, საამისოდ რამდენიმე წელიწადია საჭირო.

ჯერ-ჯერობით ჩვენ ავუწერთ მკითხველთ სორბონის ვითარებას, იმ სორბონისა, რომელიც ყველაზე უფრო ცნობილია პარიჟში და რომელიც ყველაზე უფრო წააგავს რუსეთის უნივერსიტეტს.

სორბონა დიდი ხანია, რაც არსებობს. დაარსდა 1253 წელს გამოჩენილმა და კეთილ მორწმუნე რობერტ სორბონელმა, რომელიც წმიდა ლუდოვიკე IX-ს სულიერ მამად ითვლებოდა. პირველად სორბონში თეოლოგიას, ანუ ღვთის-მეტყველებას ასწავლიდნენ. მას შემდეგ გავიდა რვა საუკუნე, და დღეს სორბონა პარიჟის უნივერსიტეტთა ცენტრად გახდა.

მე-XII საუკუნის მეორე ნახევრიდან ყველა განათლებულ ქვეყნიდგან მოეშურებოდა მრავალი ღარიბი სტუდენტობა, რომ მოესმინა თეოლოგ-ფილოსოფოსის აბილიარის ლექციები.

საშუალო საუკუნოების განმავლობაში სორბონას დიდის პატივის ცემით იხსენიებდა მთელი კათოლიკობა; სორბონავე იყო ისეთი დაწესებულება, სადაც არჩევდნენ და სწყვეტდნენ თეოლოგიურსა, იურიდიულსა და საეკლესიო საკითხებს; ყოველ საეჭვო საკითხი სორბონას უნდა გადაეწყვიტა, რომლის დადგენილებაც კანონიერად ითვლებოდა. ერთის სიტყვით, სორბონა საშუალო საუკუნოებში ფრიად დიდ როლს ასრულებდა და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; მაგრამ ხშირად ამ დიდს როლს სორბონა შემდეგში თავის შესარცხვენად და გასაკიცხად იყენებდა. თუ რა სამარცხვინო მოქმედება ჩაიდინა სორბონამ, ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ ჟანა-დარკის პროცესია, რომელსაც 1430 წელს დაწვა გარდაუწყვიტა. სორბონას ბრძანებით დასწვეს ისეთი ქალი, რომელიც საფრანგეთში (და შეიძლება მთელ ქვეყანაზედაც) უდიდებულეს გმირად ითვლებოდა და ითვლება დღესაც.

მაგრამ გავიდა საუკუნოები, გავიდა დრო, რომლის განმავლობაში სორბონამ არა ერთი და ორი ძირითადი ცვლილება განიცადა, უწინ მარტო თეოლოგიის უმაღლესი სკოლა, დღეს შეიქმნა საერო განათლების აკვნად.

დღევანდელ სორბონაში ორი ფაკულტეტია: ლიტერატურული და მეცნიერებათა ფაკულტეტი. პირველი — ლიტერატურული — ფაკულტეტი ჰგავს ისტორიულ-ფილოლოგიურს რუსეთის უნივერსიტეტის ფაკულტეტს მეორე — ფიზიკურ-მათემატიკურს.

პარიჟში მხოლოდ მარტო სორბონას აქვს დიპლომის მიცემის უფლება. ის იძლევა მოწმობებს, რომლის ძალითაც შეიძლება საშუალო თუ უმაღლეს სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლება მეცნიერების ამა თუ იმ დარგისა.

სორბონში, შესასვლელად საჭიროა საშუალო სასწავლებლის მოწმობა, სწორედ ისე, როგორც რუსეთში. რუსეთში უნივერსიტეტის თვითოეული ფაკულტეტის შესასწავლად ოთხი წელიწადია საჭირო. იქ დრო განსაზღვრულია, ყოველ წლიური ეგზამენი აუცილებელია. აქ კი, სორბონში, ფაკულტეტები ხარისხებად იყოფა, თვითოეულ ხარისხზე ეგზამენს, როცა გინდა, მაშინ დაიჭერ.

აქ სტუდენტს სრული თავისუფლება აქვს; გაიარა სორბონში ოთხი ტრიმესტრი, სრული ნება აქვს ლისანსიეს ხარისხის ეგზამენი დაიჭიროს.

ეგზამენის დაჭერა შეუძლიან, როდესაცკი მოისურვებს, მხოლოდ ოთხ ტრიმესტრის შესრულების შემდეგ. როდესაც ლისანსიეს ეგზამენს ჩააბარებს, შეუძლიან მოემზადოს აგრენიეს ხარისხის მისაღებად, თუ ჰსურს, რომ რაიმე სახელმწიფო თანამდებობა მიიღოს, მაგ., მასწავლებლისა, ან და თუ სამეცნიერო ხარისხის მიღება უნდა, დოქტორის ხარისხისათვის უნდა მოემზადოს. ამა, თუ იმ ხარისხის მქონეს შესაფერისი უფლება-უპირატესობაც ეძლევა. ამგვარად სორბონნისა და რუსეთის უნივერსიტეტთა შორის ის განსხვავებაა, რომ პირველში არსებობს ხარისხები ბაკალავრისა, ლისანსიესი და სხ.; მეორეში-კი სტუდენტები მხოლოდ კურსობით განირჩევიან. გარდა ამისა, რუსეთის უნივერსიტეტში გადაწყვეტილია ვადა, რომლის განმავლობაშიაც სტუდენტს შეუძლიან კურსის შესრულება, სორბონნში-კი ეს ვადა განუსაზღვრელია, მხოლოდ ოთხი სემესტრი მაინც უნდა შეასრულოს სტუდენტმა. განსხვავებაა აგრეთვე ეგზემენების განწესრიგებაში: მაშინ, როდესაც რუსეთის უნივერსიტეტებში ერთხელვეა შემუშავებული ეგზამენების პროგრამმა, სორბონნის უნივერსიტეტში ეგზამენები ყოველ წლობით იცვლება იმის და მიხედვით, თუ როგორ იცვლება თვით სწავლა. ამის შესახებ ჩვენ შემდეგ მოველაპარაკებით მკითხველს დაწვრილებით. არჩევა ამა, თუ იმ კურსისა თვით სტუდენტზეა დამოკიდებული.

აქამდე ჩვენ მხოლოდ იმ სტუდენტთა შესახებ ვლაპარაკობდით, რომელთაც განზრახვა აქვთ ესა თუ ის ხარისხი მიიღონ სახელმწიფო სამსახურში შესასვლელად. ასეთ სტუდენტებად ჩარიცხვა შეუძლია ყველას, ვისაც-კი საფრანგეთის საშუალო სკოლის გათავების მოწმობა აქვს, ან კიდევ უცხოელებს, რომლებსაც თავის სახელმწიფოში მიუღიათ ამგვარი მოწმობა და საფრანგეთის მთავრობას კანონიერად უცვნია იგი და თავისი სამაგიერო მოწმობა მიუცია. ასე რომ, ვისაც კლასიკურ გიმნაზიის მოწმობა აძვს, ყველას ნება ეძლევა სორბონნის უნივერსიტეტში სტუდენტად ჩაერიცხოს, თუ-კი სათანადო მოწმობას გამოსთხოვს მთავრობას. მაგრამ, გარდა ზემოდ დასახელებულ სტუდენტებისა, სორბონნში სწავლობს მრავალი თავისუფალი სტუდენტი, რომელნიც ესწრებიან თავისუფალსა და დახურულს კურსებზედ და კონფერენციებზე. ამათ შესახებაც შემდეგში მოვილაპარაკებთ. ამათ შორის უმეტესობას შეადგენენ უცხოელნი, რომელთაც არ უსურვებიათ საფრანგეთის მოწმობის მიღება. ამ ჟამად ამით ვათავებ ჩემს წერილს. მეორე წერილში ვეცდები დაწვრილებით გავაცნო მკითხველებს, თუ როგორაა სორბონნში დაყენებული სწავლის საქმე და პროფესორთა ორგანიზაცია.

ვ. ხუდადოვი.

4 (17) დეკ. 1902 წ.

პარიჟი.

---

*) ბალახანიდგან ათი ვერსია მაშტაგამდე.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

„ტარტიუფი" მოლიერისა, თარგმ. ი. მაჭავარიანისა და „მეჯვლისი იტალიელებით" ოპერეტა.

სახელი ვას. აბაშიძისა რაღაც ჰიპნოტიურ ძალით არის მოსილი და ანდამატურად იზიდავს ხალხს ქართულ თეატრისაკენ. რაც თავი შემისწავლია, არ მახსოვს ისეთი სადღესასწაულო დღე, ამ მსახიობის სახელთან შეერთებული, როდესაც თეატრის დარბაზი ხალხით გაჭედილი არ ყოფილიყოს და ყველას სახეზედ კმაყოფილება არა კრთოდეს.

არც გასაკვირველია ეს. ვას. აბაშიძე ცხოველ მყოფილი ძეგლია ჩვენის ხელოვნებისა, რომელზედაც ჭეშმარიტ-მეტყველურად არის აღბეჭდილი ყოველი მადლი, რაც-კი-რამ ამ ხელოვნებას მოუფენია ქართველ ხალხისათვის.

თეატრი ჩვენს ცხოვრებაში არის თითქმის ერთად-ერთი რეალური გამომეტყველება კულტურულ არსებობისა, ეროვნულ თვითცხოვრებისა. მართალია, ჩვენი საზოგადოება (განსაკუთრებით არისტოკრატია) მაგრე რიგად არ აფასებს თეატრის მნიშვნელობას (ეს თვალ-ხათლივად დაგვიმტკიცა დრამ. საზოგადოების $190^1/_2$ წლის ანგარიშმა) მაგრამ, სხვა შემთხვევებში უზრუნველობის გარსით შემოვლებული მაღალ საზოგადოების გული,—როდესაც საქმე ვას. აბაშიძის დღესასწაულს შეეხება ხოლმე,—დარდიმანდულად იხსნის გულიდგან ამ გრძნობა-გონების დამახავსებელ ქერქს და მიდის იმ ტაძრისკენ, რომლის საკურთხევლის ბრწყინვალე კანდელად გ. აბაშიძე მიუჩნევია.

მაგრამ ფრთა შევაკვეცოთ ამ ლირიზმს და გადავიდეთ პირდაპირ წარმოდგენაზედ.

დავიწყოთ მობენეფისე მსახიობით. თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ იმ მასალას, რომელსაც იძლევა მოლიერი ორგონის არსების დასახატავად,—მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ გ. აბაშიძე ამ როლში ისეთია, როგორც შეჰფერის მისს ნიჭს და უნარს. ორგონის შეურყეველი რწმენა ტარტიუფის მიმართ, რწმენა, რომელიც უმწვერვალესია,—მსახიობის გადმოცემით, ამ კაცის (ორგონის) ჭკუა-მოკლეობამდე აღწევს და ორგონი თქვენს წინაშე სულელ და მასხარა არსებად იხატება. საკმარისია გავიხსენოთ მსახიობის კილო, მისივე, ტუჩებზედ გაბადრული მოტკბილო-მოსულელო ღიმილი, როცა იგი იძახის „საწყალი კაცი"-ო, რომ თვალწინ წარმოგიდგეთ უგუნა და ლენჩი ადამიანი, რომლის მოტყუებისათვის საჭირო როდია უეჭველად ტარტიუფისთანა თაღლითი ადამიანი; ორგონის გონებითი სიბეცე მოლიერს მეტის-მეტად შეღებულის ფერადებით აქვს აღბეჭდილი და ეს საშინლად ვნებს პიესას, რადგანაც ამის გამო ტარტიუფის მელაკუდაობისა და გაიძვერაობის ძლიერებას ასპარეზი აღარ მოეპოვება. ამის გამო, მსახიობი უნდა ეცადოს, ეს ფერადები შეასუსტოს და ამით შეასწოროს ის შეცდომა ავტორისა, რომელიც გადამლაშებას მიემსგავსება. გ. აბაშიძის თამაშობა ამ მხრივ ვერ იყო სათანადო. იგი გაეტაცნა კომიკურ მხარეს ორგონის როლისას, და მთელი თვისი ძალ-ღონე ამ მხარეს მოანდომა; რაღა თქმა უნდა, ძლიერი შთაბეჭდილებაც მოახდინა, განსაკუთრებით კომიკურის დრამატიზმით, თუ შეიძლება ასე ითქვას. მაგრამ, ამასთანავე, სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ გ. აბაშიძის კომიზმი წელს უფრო ზომიერი იყო, ვიდრე შარშან იმავე როლში.

ტარტიუფს წელს თამაშობდა ბ-ნი კ. მესხი (შარშან გედევანოვი თამაშობდა). კ. მესხის გამოცდილება და არტისტიული უნარი ხელს უწყობს ამ მსახიობს საზოგადოთ როლის სათანადო შეგნებას, მაგრამ, რაც შეეხება ტარტიუფის განპიროვნებას,—იგი, ჩემის აზრით, როდი იყო შესაფერი ტარტიუფი. პირველივე გამოსვლა ტარტიუფისა იმით იწყება, რომ დიდის ზავთითა და ზეიმით გვატყობინებს (ან ატყობინებს დანარჩენ მოქმედთ), აი, შემომხედეთ, ღვთის მოსაობით გაპერილი ვარო. მოჩვენებული მორჩილება, ფარისევლური სიყვარული მოყვასისადმი და მუდმივი პირბადე ღვთის შიშისა რომლის იქით იფარება გარყვნილი ბუნება, უხეშისა და მხეცურ ინსტიქტებით შეზავებული, გვერზედ მიდგა და ჩვენ წინ იყო „ჯენტლმენი" დიდის სალონისა, საზოგადოების კაცი. მაგალითად, როცა ორგონის ცოლს დაინახავს, ტარტიუფი — კ. მესხი თავ-დავიწყებით გასტყორცნის შორს ჯოხსა და ქუდს და აღტაცებით, ცეცხლ-შეკიდებით მიჭმართავს ქალს, ვით ფრანგულ მელოდრამული Geune premier-ი. მართალია, იყო ისეთი წამებიც, როცა მსახიობი ცდილობდა ცბიერობა და ვთალთმაქცობა გამოეხატა, მაგრამ მეტის-მეტად მკრთალი იყო ეს გამომეტყველება. ტარტიუფი, ჩემის აზრით, პირბადეს არას დროს არ იხსნის, რადგანაც პირბადის ტარება მას სისხლში და ხორცში გასჯდომია, ის მხეცური გრძნობები-კი—არა, გრძნობები-კი არა,—წადილები, რომლითაც აღტყინებულია ტარტიუფის არსება ორგონის ცოლის მიმართ, მე მგონია, ოდნავად უნდა გამოსჭვირდეს ამავე პირბადის თხელ ქსოვილში. კ. მესხმა-კი ეს არ გვაჩვენა. სამაგიეროდ შესანიშნავი გრიმი ჰქონდა—ნამდვილის იეზუიტისა.

(დასასრული იქნება)

პარასკევს, 13 დეკემბერს, სათავად-აზნაურო თეატრში დაიწყო გასტროლები ცნობილის მსახიობის ორლენევისა. პირველ გასტროლად წარმოდგენილი იქმნა „დანაშაული და სასჯელი", დოსტოევსკის რომანიდგან გადმოკეთებული 10 სურათიანი პიესა. წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. ორლენევის გასტროლების შესახებ ანგარიშს ამ დღეებში დავბეჭდავთ.

წერილები

რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით სიმართლის აღსადგენად პასუხი გავცე კოსტა გიტოს ძე კალანდაძეს, რომელმაც უკმეხურის ცილის წამებით ჩემზედ გამოილაშქრა „ივერიის" მე № 257-ში. ბატონი კალანდაძე, რომელიც მე ცილს მწამებს, რომ ვითომც ოცი მანეთი მეთხოვოს ჯვარის წერისათვის და რომელიც მე ვითომც ეკკლესიიდგან დამეთხოვოს ხუთი მანეთის შემოძლევისათვის. ახლდა სასიძოს ერმილე კალანდაძეს, რომელსაც მე ჯვარი დავწერე. ჯვარის წერისათვის მე სრულებით ოცი მანეთი არ მომითხოვნია და რადგანაც სასიძო და სასძლო შეძლებული გლეხთაგანი იყვნენ, თუმანი მოვთხოვე. მაშინ კოსტა კალანდაძემ წარმოსთქვა: ინსტრუქციის ძალით შენ ხუთი მანეთი გერგებაო და არც შეგიძლიან, რომ მეტი მოითხოვოო. მე მოვახსენე: ჩვენი ინსტრუქციის ძალით ყოველთვის შემიძლია, რომ შეძლებულს გლეხთაგანს ჯვარ-საწერი თუმნამდის გადავახდევინო-მეთქი. მხოლოდ შენს საკუთარს შედგენილს ინსტრუქციას, სადაც ამგვარი წესი შემოგიღია, მე არ ვღებულობ მეთქი. შემდეგ ამისა მობრუნდა ბატონი კალანდაძე ხალხისკენ და დაიძახა: ბატონებო, წავიდეთ აქედგან და ვაენის მღვდელს დავაწერინებ ჯვარს სამ მანეთადაო.

ბატონმა კოსტამ ორატორობა ტყუილებით დაიწყო და ტყუილებითვე დააბოლოვა. პირველად ხომ ახალი ინსტრუქციები და კანონები გამოსცა და მეორედ ალების მიწურულში საღამოს ხალხს ატყუებდა და ჯვარ-საწერად მიჰყავდა სასიძო და სასძლო ვაენის მღვდელთან ჩვენი სოფლიდგან 200—300 ვერსის მანძილზედ. ესეც ხომ მკაცრი სიცრუევე! ხარჯს თუ ემალებოდა, როდესაც ათი მანეთის გამომეტება საძნელო იყო, ნუ თუ ამოდენი სულის წაყვანა ვაენის მღვდელთან 300 ვერსის მანძილზედ უფრო ცოტა დაუჯდებოდა. მე სრულებით კოსტა კალანდაძესთან საქმე არ მქონია. სასიძო, ეტყობოდა, რომ უფრო პატიოსანი კაცი იყო პირველზედ და რაც არ შეეფერებოდა, არც ლაპარაკობდა, მხოლოდ კოსტა იმდენად გაიტაცა თვისივე ორატორობამ და ისეთი უშვერი სიტყვები წარმოათქმევინა ეკკლესიაში, რომ მე იძულებული ვიყავი, არამც თუ ეკკლესიიდგან დამეთხოვა, არამედ ოქმიც უნდა შემედგინა, მაგრამ მისს უგუნურებას არ ავყევ და კარში გამოგდება ვაკმარე.

ჯვარცხმის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი ილარიონ მგალობლიშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

13 დეკემბერი.

რომი. იტალიის მთავრობის ვენესუელისადმი მიმართულს ნოტაში ნათქვამია, იტალიას ჰსურს მიიღოს და თავისი საქმე გადასცეს სამედიატორო სამართალსო თუ უარი ეთქვა, თანახმაა თავისი საქმე გადასცეს გააგის სამედიატორო სამართალსო.

ვაშინგტონი. ამბობენ, რუზველტი მალე დაადგენს გადაწყვეტილებას შესახებ სამედიატორო გასამართლების მიღებისა. თუ თანხმობა იქნება, იგი დანიშნავს სამედიატორო რჩევას, რადგან თვითონ არა აქვს დრო გაიკვლიოს გზა ცალკე მოთხოვნილებებისა.

ტანჟირი. სულთანმა 10,600 კაცი სამხედრო მინისტრის უფროსობით გაგზავნა წინააღმდეგ ტახტის მაძიებელისა.

პარიჟი. დეტურნელი შეეკითხება დელკასეს, რა მიზეზია რომ სახელმწიფოებმა, თანახმად გააგის კონფერენციის მე-27 მუხლისა, ვენესუელის რესპუბლიკის საქმე არ გადასცეს გასარჩევად გააგის სამედიატორო სამართალსო.

ნიში. გრაფი ლამზდორფი მოვიდა 3-ს საათზედ და რკინის გზის სადგურზედ მას დაუხვდა ადიუტანტი ლაზარე პეტროვიჩი. მცხოვრებთა აღტაცებულ სიხარულით, იგი მივიდა სასახლეს, მიღებულ იქმნა მეფისაგან და სადარბაზოდ მივიდა დედოფალთან. გრაფს საპარადო საცმელი ეცვა და სერბიის თეთრი არწივის ორდენით იყო შემკული. ქალაქის თავი რკინის გზის სადგურზედ ადიდებდა რუსეთს. სერბია მფარველს, ერთად ერთს გაუმჯობესებელს მათის ხვედრისას. ქალაქი მორთულია დროშებით და გალამპრებული. სასახლეში გრაფის საპატიოდ გაიმართა სადილი; იგი ხვალ მიდის სოფიას.

სტამბოლი. პორტამ ელჩებს დაუგზავნა პირი სოლუნის ვალის დეპეშისა, რომელიც უარჰყოფს ცნობებს შესახებ ხალხის შეწუხებისა, დევნისა და იუწყება, მთავრობა მშვიდობიანობას იცავსო.

ასხაბადი. მიწის ძვრის შედგომამდე ანდიჟან-ფედჩენკის შორის დარაჯთა რიცხვი ერთი-ორად მომატებულია. გზის განუწყვეტელი გასინჯვა შემოიღეს. მიწის-ძვრა არ შეჩერებულა აქამდე. ანდიჟანის სადგურს გააკეთეს ახალი გზა 200 ვაგონის დასაყენებლად ხალხის საცხოვრებლად. სადგურის შენობებიდამ, რომელთა დაქცევა ყოველს წამს მოსალოდნელია, საბუთის ქაღალდები და ტვირთის ნაწილი ჯერ არ გამოტანილია.

ოდესა. განგრძობილ ყინვა 16 გრადუსამდეა, ოდესის ნავთსადგური გაჰყინა. გემები ცურვენ ყინულის საევეთის შემწეობით.

პეტერბურგი. „Русскій инвалидъ"-ში დაბეჭდილია უმაღლესი ეპისტოლე პაჟთა კორპუსისადმი. პაჟის კორპუსის დაარსებიდგან ასის წლის შესრულების გამო, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება ჩაიწეროს კორპუსის სიაში ხელმწიფე მემკვიდრე მიხეილ ალექსანდრეს ძე და მათნი იმპერატორებითნი უმაღლესობანი დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

წითელის ჯვრის უმთავრეს მმართველობამ დეპეშით გადასცა ტაშკენტს 10,000 მანეთი პირველ შემწეობის აღმოსაჩენად ანდიჟანელთათვის; გზავნის რწმუნებულს წევრს უმთავრეს მმართველობისას შემწეობის მოსაწყობად 25,000 მანეთის მოხმარებით, ამზადებს გასაგზავნად თეთრეულს, ჰრილობათა შესახვევებს, წამლებს. შემოწირულებათა მიღება გამოცხადებულია.

საერო განათლების მმართველი ზენგერი 12 დეკემბერს შეუდგება სამინისტროს გამგეობას.

12 დეკემბერი*)

პოლტავა. იასაულის ფილიპოვის მკვლელი ბირუჩკოვი დღეს სიკვდილით დასაჯეს.

ვაშინგტონი. გერმანიისა და ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ თუ რუზველტი არ დასთანხმდება სამედიატორო სამართალს, მაშინ საქმის განხილვას გააგის სამედიატორო სამართალს წარუდგენთო.

მოსკოვი. საგუბერნიო კრებამ დაადგინა, რომ მოსამსახურეთ დახმარება ეძლეოდეს შვილების აღსაზრდელადო.

ლონდონი. მინისტრთა პრეზიდენტი ბალფური ინფლუენციით ავად გახდა.

14 დეკემბერი.

პეტერბურგი. 13 დეკემბერს საინჟენერო მანეჟში უდიდებულესობის თანადასწრებით შესდგა საეკკლესიო პარადი მისის უდიდებულესობის კორპუსის ბატალიონისა ასის წლის იუბილეის დღესასწაულის და უმაღლესად ბოძებულის დროშის კურთხევის გამო. ხელმწიფე იმპერატორმა მანეჟში მიიღო კორპუსის დირექტორისაგან მოხსენება; შემდეგ წაკითხულ იქმნა ღრამატები და ახალის დროშა აკურთხეს. იმპერატორმა შემდეგის სიტყვებით მიმართა ყოფილ პაჟებს:

„მადლობას გიცხადებთ თქვენ, ბატონებო, ჩემს და ჩემი წინამოადგილეთა სამსახურისა და უმწიკვლო თავდადებისათვის, რომელიც ბევრმა თქვენგანმა თავის სისხლითაც-კი შეღება, თქვენი პატიოსანი სამსახურისათვის, რომელიც გაუწიეთ ტახტსა და სამშობლოს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ამგვარი ერთგულება მუდამ იქნება დაცული პაჟთა შორის. ვისურვებ თქვენთვის ჯანმრთელობას მრავალ ჟამიერ". შემდეგ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობამ მიმართა პაჟთა ბათალიონს შემდეგის სიტყვებით:

„დღეს მე დავუმტკიცე პაჟთა კორპუსს ჩემი ლმობიერება, ჩავრიცხე რა ჩემი ძმა და ბიძები კორპუსის სიაში; უმთავრესად იმით, რომ ვუწყალობე კორპუსს დროშა. დარწმუნებული ვარ, ბატონებო, რომ თქვენ ისე ერთგულად, ისე თავგამოდებით დაემსახურებით თქვენს ხელმწიფეს და ძვირფასს რუსეთს, როგორადაც ემსახურებოდნენ თქვენი მამები და პაპები. ნახვამდის, ბატონებო".

„ბედნიერად, თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობამ", „ურა" მიაძახეს პაჟებმა. „გმადლობთ, ჩინებული პარადისათვის",—მიუბრუნდა მისი უმაღლესობა კორპუსს. $1^1/_2$ ს. მათი უდიდებულესობა წაბრძანდნენ მანეჟიდგან. 13 დეკემბერს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ინახულეს ყაზანის ტაძარი.

პერა. მძვინვარებს გრიგალი. მრავალი გემი დაიღუპა. დეპეშების გზავნა შესწყდა.

დურბანი. მოვიდა ჩემბერლენი, რომელიც დიდის ამბით მიიღეს მცხოვრებლებმა.

პეშავერი. მოვიდა ამბავი, რომ გარდაიცვალა ჰადდა-მულლა, მიზეზი უწესოებისა ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთის სამზღვარზედ.

ვაშინგტონი. რუსველტა არა კისრულობს შუა-კაცობას. სადავო საგანი გადაეცემა განსახილველად ჰაგის სამედიატორო სამართალს.

ჟენევა. საქსონიის კრონპრინცესამ დაავალა ადვოკატს, გამოუცხადე, ვისიც ჯერ არს, რომ გადავსწყვიტე აღარ ვიცხოვრო ჩემს მეუღლესთან და, ვიდრე განქორწინება არ მოხდება, აღარ დავბრუნდები გერმანიასა და ავსტრიაში, რათა შეშლილთა სახლში არ დამაბინავონო.

ათინა. პალატის კრების დაწყებამდე დიდი ორომტრიალი მოხდა. თეოტოკისტელებს, რომელნიაც დაუმალავთ გასაღები პალატისა ვაკაციების დროს, არ უნდოდათ მიეცათ ეს გასაღები დელიანისტებისათვის; იმათ სურდათ დილით ყველაზედ ადრე მისულიყვნენ და დროებით თვისის დასის წარმომადგენელი დაესვათ პრეზიდენტად. მთავრობამ წინა ღამესვე განკარგულება მისცა, რომ კარი ძალით გაეღოთ; დილით დელიანისის მომხრე პრეზიდენტმა ცარლამბასმა უკვე დაიჭირა ადგილი პრეზიდენტისა. თეოტოკისტელებმა წინააღმდეგობა დაიწყეს; ატყდა უწესოება; დეპუტატები დაერივნენ ერთმანეთს და შეიქმნა ხელ-ჩართული; ნასროლი საწერელი ჩავარდა საიაზმოში. თეოტოკისტელები გავიდნენ დარბაზიდან. მეფემ წარმოსთქვა სეფე-სიტყვა.

ნიში. ლამზდორფი მიიღო მეფემ დიდის ამბით გამოსათხოვებლად. სადილს წინად გრაფი კერძო აუდიენციით იქმნა მიღებული. სადღესასწაულო სადილზედ მეფემ ადღეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე ხელმწიფე იმპერატრიცა. გრაფმა ლამზდორფმა—სერბიის მეფე-დედოფალი. დილის 11 საათზედ გრაფი საგანგებო მატარებლით წავიდა სოფიას. როგორც მოსვლისას, ისე წასვლისას გრაფს დახვდა საპატიო ყარაული და მუსიკამ რუსეთის ჰიმნი დაუკრა. გრაფი და მეფე სიყვარულით გამოეთხოვნენ ერთმანეთს.

პეტერბურგის ბირჟა, 13 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$97^3/_4$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99^1/_2$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94^1/_2$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	478 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	372 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	307 $^1/_4$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	— 89 $^1/_2$ გაყ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	$82^1/_2$ წვ გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4410 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	414 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	209 წვ. გაყ.

---

*) ლიანდაგის წახდენის მიზეზით დაიგვიანა.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი

საქართველო

მეთორმეტე საუკუნეში

დ. კარიჭაშვილის მიერ სურათებით. ფასი 40 კაპ. (10—6.—2)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
# სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

„GRAND PRIX"
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Парфюмерія

„Нильская Лилія"

რადგან 8 დეკემბერს დანიშნული კრება არ შესდგა,

გამგეობა

საამფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობისა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 15 **დეკემბერს**, დილის 10 საათზედ, ამხანაგობის მაღაზიის კანტორაში (კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების" ქვეშ) დანიშნულია ამხანაგობის წევრთა საგანგებო კრება უსაჭიროეს საგნების განსახილველად. ეს მეორედ დანიშნული კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3—6.—3)

ამერიკულ ვაზის

აფხანაურის სანერგე მიხრან ალექსანდრეს ძის ანანოვისა

(რკინის გზის რიონის სადგურის მახლობლად).

იყიდება ამერიკულ ვაზზედ ერთის წლის დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები, 1000 ცალი 100 მან.

ამერიკულ ვაზის რქა დასამყნობად:
Rupestris Monticola 1000 მეტრი . 15 მ.
Riparia gloire de Montpellier . . 10 „
Berlandieri კირნარევ ნიადაგისათვის. 30 „

ამერიკული რქა დასარგავად:
Rupestris Monticola 1000 მეტრი . 5 „
Riparia gloire de Montpellier . . 3 „
Berlandieri . . . . 15 „

მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ნერგები მომავალ 1903—904 წლ. სეზონისათვის.

ადრესი: Ст. Ріонъ, Михрану Ананову.
(10—471—6)

განცხადება

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

САРАТОВСКАЯ САРПИНКА

508

образцовъ въ изящномъ альбомѣ высылаются за 49 коп. почт. мар.

на лѣтній сезонъ 1903 года,

легкая лѣтняя ткань для платьевъ и бѣлья.

Продажа оптомъ и въ розницу, пересылка розничныхъ заказовъ безплатно.

Фабриканты Торговый Домъ

„Андрей Бендеръ Сыновья".

въ Саратовѣ, Никольская улица.

(4—6.—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дьордовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხახანაშვილი.